



საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ მ ბ ა № 73

ქ.თბილისი

„03“ „ნოემბერი“ 2017 წ.

გურიის რეგიონში, ჩოხატაურის რაიონში „გუბაზეული 6 ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N97 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საინვესტიციო დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნათია ბერიძის N717-77 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ინტერესთა გამოხატვა გურიის რეგიონში, ჩოხატაურის რაიონში „გუბაზეული 6 ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე.
2. დამტკიცდეს „გურიის რეგიონში, ჩოხატაურის რაიონში „გუბაზეული 6 ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე“ ინტერესთა გამოხატვის პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. წინამდებარე ბრძანება და თანდართული „გურიის რეგიონში, ჩოხატაურის რაიონში „გუბაზეული 6 ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე“ ინტერესთა გამოხატვის პირობები განთავსდეს სამინისტროს ვებგვერდზე: www.energy.gov.ge.

4. დაევალოს სამინისტროს იურიდიულ, საინვესტიციო და ენერგეტიკულ დეპარტამენტებს, უზრუნველყონ ამ ბრძანებით გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის შესაბამისი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მომზადება და ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

თორნიკე რიჭვაძე



**„გურიის რეგიონში, ჩოხატაურის რაიონში „გუბაზეული 6 ჰესის“
ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,
მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის
პირობები**

1. პროექტის აღწერილობა და ძირითადი პირობები

- 1.1. ჰიდროელექტროსადგურის დასახელება: გუბაზეული 6 ჰესი
- 1.2. ადგილმდებარეობა: საქართველო, გურიის რეგიონი, ჩოხატაურის რაიონი
- 1.3. მდინარის ნიშნულები: 487-442 მ.ზ.დ.
- 1.4. სავარაუდო დადგმული სიმძლავრე: 3.06 მგვტ.
- 1.5. სავარაუდო წლიური გამომუშავება: 20.25 მლნ. კვტ.სთ.
- 1.6. სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება: 3,670,000.00 აშშ დოლარი (წარმოდგენილი ფინანსური წინადადებისა და მოლაპარაკებების საგანი).
- 1.7. წინასამშენებლო ფაზა - მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების და შესაბამისი საჯარო განხილვების განხორციელების ვადა: არაუმეტეს 15 თვე ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერიდან.
- 1.8. სამშენებლო ფაზა - მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადა: არაუმეტეს 9 თვისა ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან.
- 1.9. სამშენებლო ფაზა - ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადა: არაუმეტეს 24 თვისა მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების დღიდან.
- 1.10. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ გასაყიდი ელექტროენერჯის სარეალიზაციო მაქსიმალური ფასი: 0,06 აშშ დოლარი 1 კვტ.სთ.
- 1.11. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადის, წინასამშენებლო ფაზით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების და სამშენებლო ფაზის ფარგლებში წარმოსადგენი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი წინასამშენებლო გარანტიის ოდენობა: 15,300.00 აშშ დოლარი, მოქმედების ვადა: 29 თვე. ამასთან, წარმოდგენილი წინასამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. წინასამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.

2. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისათვის აუცილებელი მოთხოვნები

- 2.1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობით დაინტერესებული პირი ვალდებულია წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ ვადაში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინოს წინადადება (განაცხადი) ინტერესთა გამოხატვით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად პროექტის

განხორციელების შესახებ. განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია/ინფორმაცია:

- 2.1.1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. უცხო ქვეყნის კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა იყოს შესაბამისი წესით დამოწმებული;
 - 2.1.2. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები;
 - 2.1.3. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი წინასამშენებლო საბანკო გარანტია;
 - 2.1.4. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ გასაყიდი ელექტროენერჯის სარეალიზაციო ფასი აშშ დოლარში, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი ოდენობისა;
 - 2.1.5. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი პირობების და დაინტერესებული პირის მიერ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ გასაყიდი ელექტროენერჯის შემოთავაზებული ფასის ოდენობის გათვალისწინებით და მათ საფუძველზე მომზადებული პროექტის ფინანსური მოდელი, რომელიც განსაზღვრავს ზემოაღნიშნული ფასის შესაბამის ფინანსურ მაჩვენებლებს, მათ შორის, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობას. მოდელი უნდა იქნას წარმოდგენილი როგორც ნაბეჭდი, ასევე, ელექტრონული (კომპაქტური დისკის) ფორმით.
- 2.2. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოადგინოს დალუქული კონვერტით.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- 3.1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირთა მიმართ დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
 - 3.1.1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირის მიერ შემოთავაზებული სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ გასაყიდი ელექტროენერჯის სარეალიზაციო ფასი არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი ოდენობას.
 - 3.1.2. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადება (განაცხადი) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ „ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს“.
 - 3.1.3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მოდელში მითითებული მაჩვენებლები უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და უნდა იყოს ურთიერთშესაბამისი.

4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენა

- 4.1. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდგომ, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირ(ებ)ის განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, წარედგინება მთავრობას გამარჯვებულის დასადგენად.
- 4.2. განაცხადები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან/და რომლებიც წარმოდგენილია ვადების დარღვევით, რჩება განუხილველი,

რაზეც საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო შესაბამის პირ(ებ)ს უგზავნის შეტყობინებას.

4.3. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს ადგენს საქართველოს მთავრობა შემდეგი პირობებით:

4.3.1. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილია ორი ან მეტი განაცხადი, საქართველოს მთავრობა გამარჯვებულად დაადგენს იმ მონაწილეს, რომლის მიერაც შემოთავაზებული იქნება სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ გასაყიდი ელექტროენერჯიის ყველაზე დაბალი ფასი და შესაბამისი ფინანსური მოდელი.

4.3.2. იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა განაცხადმა მიიღო თანაბარი საუკეთესო შეფასება, მთავრობა ამ განაცხადების წარმომდგენ პირებს უსაზღვრავს დამატებით ვადას, შეფასების კრიტერიუმის ნაწილში გაუმჯობესებული წინადადებების წარმოდგენის მიზნით.

4.3.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილია მხოლოდ ერთი განაცხადი, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ განაცხადის წარმომდგენი პირი ცნოს გამარჯვებულად, იმ პირობით, რომ ასეთი განაცხადი აკმაყოფილებს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

4.4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან დაიდება პროექტის განხორციელების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი, ხოლო დანარჩენ პირებს, საქართველოს მთავრობის მიერ გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო დაუბრუნებს მათ მიერ წარმოდგენილ წინასამშენებლო გარანტიებს.

5. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან მემორანდუმის დადება

5.1. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია გამარჯვებულად ცნობიდან 120 დღის განმავლობაში, საქართველოს მთავრობასა და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ დადოს პროექტის განხორციელების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი. აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის სტანდარტულ პროექტს შეიმუშავენ და თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსებენ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო.

5.2. ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტში მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები, ამ ინტერესთა გამოხატვით დადგენილი პირობების შეუცვლელად.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულ პირთან მისივე მიზეზით არ მოხდა მემორანდუმის დადება, მთავრობა უფლებამოსილია სრულად გამოითხოვოს გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო გარანტია, ასევე, გამარჯვებულად ცნოს და ურთიერთგაგების მემორანდუმი დადოს დარჩენილ მონაწილეებს შორის მომდევნო საუკეთესო განაცხადის წარმომდგენ პირთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებები

6.1. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში, ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულის გარდა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებებია:

6.1.1. მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულება;

- 6.1.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება;
- 6.1.3. შესაბამისი საჯარო განხილვების განხორციელება (საქართველოს კანონმდებლობით ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში).
- 6.2. სამშენებლო ფაზის ფარგლებში, ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულის გარდა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებებია:
 - 6.2.1. პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებების მოპოვება;
 - 6.2.2. პროექტის განსახორციელებლად საჭირო მშენებლობის ნებართვის აღება;
 - 6.2.3. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება, სამშენებლო სამუშაოების წარმოება საქართველოს კანონმდებლობის, სამშენებლო, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით;
 - 6.2.4. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება და დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება.
- 6.3. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი, რომელმაც წინამდებარე პირობების მიხედვით დადო ურთიერთგაგების მემორანდუმი, ვალდებულია ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოველი წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია განახორციელოს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ დადებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც ელექტროენერჯის საბოლოო ფასი განისაზღვრება იმ ოდენობით, რომელიც მოცემული იქნება წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობების 6.10 პუნქტის შესაბამისად მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებაში.
- 6.4. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების/საჯარო განხილვების შედეგებზე დაყრდნობით, კომპანიის მიერ სამინისტროსთვის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით შეიცვლება ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური პარამეტრ(ებ)ი ან/და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობა, ხოლო ამგვარად შეცვლილი პარამეტრ(ებ)ის ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასის ოდენობა იქნება წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შესაბამისად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული ფასის ტოლი ან მეტი (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების შიდა განაკვეთი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), ამავე მემორანდუმით განსაზღვრული სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასი დარჩება უცვლელი.
- 6.5. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების/საჯარო განხილვების შედეგებზე დაყრდნობით, კომპანიის მიერ სამინისტროსთვის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით შეიცვლება ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური პარამეტრ(ებ)ი ან/და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობა, ხოლო ამგვარად შეცვლილი

პარამეტრ(ებ)ის ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასის ოდენობა იქნება წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შესაბამისად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრულ ფასზე ნაკლები (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების შიდა განაკვეთი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასი შემცირდება და განისაზღვრება ფინანსურ მოდელში ურთიერთგაგების მემორანდუმის ამ პუნქტის შესაბამისად შეცვლილი პარამეტრ(ებ)ის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით. ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის დაიდება წერილობითი შეთანხმება შესაბამის ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე, ამავე მემორანდუმით განსაზღვრული შესაბამისი პარამეტრ(ებ)ის, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასისა და ფინანსური მოდელის კორექტირების მიზნით.

- 6.6. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია საქართველოს მთავრობასთან დადებული შესაბამისი ურთიერთგაგების მემორანდუმით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს აუდიტორული დასკვნის მომზადება და სამინისტროსთვის წარდგენა. „აუდიტორული დასკვნა“ განიმარტება და მომზადებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესისა“ და მხარეთა შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად.
- 6.7. იმ შემთხვევაში, თუ ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად მომზადებული აუდიტორული დასკვნის მიხედვით დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობის ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასი იქნება წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შესაბამისად დადებული მემორანდუმით განსაზღვრული ფასის ტოლი ან მეტი (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების შიდა განაკვეთი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), ამავე მემორანდუმით განსაზღვრული სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასი დარჩება უცვლელი.
- 6.8. იმ შემთხვევაში, თუ ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად მომზადებული აუდიტორული დასკვნის მიხედვით დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობის ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასი იქნება წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შესაბამისად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრულ ფასზე ნაკლები (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების შიდა განაკვეთი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორისათვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ფასი შემცირდება

და განისაზღვრება ფინანსურ მოდელში დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით.

- 6.9. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობების 6.4, 6.5, 6.7 და 6.8 პუნქტების მიზნებისათვის, ფინანსურ მოდელში დასაშვებია მხოლოდ დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობის ჩანაცვლება დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობით. სხვა ყველა დაშვება, მაჩვენებელი და მონაცემი რჩება უცვლელი, გარდა ელექტროენერჯის ფასისა, რომლის ცვლილება განპირობებული იქნება მხოლოდ დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობის დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობით ჩანაცვლებით.
- 6.10. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობების 6.7 და 6.8 პუნქტების მიხედვით ელექტროენერჯის ფასის ცვლილების ან უცვლელად დატოვების შესახებ მხარეთა შორის იდება შეთანხმება ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული წესით.
- 6.11. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთგაგების მემორანდუმით დადგენილ ვადებში ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულმა პირმა არ მოაშზადა ან/და არ წარუდგინა შესაბამისი აუდიტორული დასკვნა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, ან/და ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული წესით არ დადო წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობების 6.10 პუნქტში მითითებული შეთანხმება, ან/და ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი კარგავს სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ ელექტროენერჯის გარანტირებულად მიყიდვის უფლებას.
- 6.12. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი, რომელმაც ამ წესის მიხედვით დადო ურთიერთგაგების მემორანდუმი, ვალდებულია სამშენებლო ფაზის ფარგლებში ამავე მემორანდუმით დადგენილ ვადებში საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 100,000.00 (ასი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ვეროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად) ოდენობით. აღნიშნული საბანკო გარანტიის ვადა უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით განსაზღვრულ სამშენებლო ფაზის დასრულების ვადას 4 თვით. ამასთან, საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. სამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 %-ს.

7. ინტერესთა გამოხატვის სპეციალური დებულებები

- 7.1. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, პროექტის განხორციელების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმის დადებამდე ნებისმიერ ეტაპზე უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ინტერესთა გამოხატვის პროცესის შეწყვეტის შესახებ, რაც განაპირობებს ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირ(ებ)ისათვის მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (მათ შორის, წინასამშენებლო გარანტიის) დაბრუნებას.
- 7.2. პროექტი ხორციელდება ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის სახსრებით.

პირ(ებ)ისათვის მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (მათ შორის, წინასამშენებლო გარანტიის) დაბრუნებას.

- 7.2. პროექტი ხორციელდება ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის სახსრებით.
- 7.3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე(ებ)ს/დაინტერესებულ პირ(ებ)ს არ აუნაზღაურდებათ ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით მათ მიერ გაწეული დანახარჯები.

8. ინტერესთა გამოხატვის ვადები და საკონტაქტო ინფორმაცია

- 8.1. ინტერესთა გამოხატვის შედეგად დაინტერესებულ პირთა მიერ ამავე წესით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2017 წლის 30 ნოემბერი სექტემბერი, 18:00 საათი.
- 8.2. განაცხადების მიღება ხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს, სამუშაო საათებში, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში (მის: საქართველო, ქ. თბილისი, 0105, სანაპიროს №2, IV სართული).
- 8.3. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების გახსნა/განხილვა განხორციელდება წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში.
- 8.4. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირები, რომლებსაც საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში წარდგენილი აქვთ შესაბამისი განაცხადი, უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ წარმოდგენილი განაცხადების გახსნის პროცესს, რის შესახებაც მონაწილე მხარეების ხელმოწერით დგება ოქმი.
- 8.5. დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირები:
 - ნათია ბერიძე, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მობ: +995 591 340 909, ტელ: +995 32 2 357 833, ელ-ფოსტა: n.beridze@energy.gov.ge.
 - მის: სანაპიროს №2, ქ. თბილისი, 0105, საქართველო;
 - ვებ-გვერდი: <http://www.energy.gov.ge/>.